გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

განკარგულება № 106

2020 წლის 14 აგვისტო

გორი

გორის მუნიციპალიტეტში 2020 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით გორის მუნიციპალიტეტში იგეგმება ინფრასტრუქტურული პროექტები, კერძოდ: ა) სოფლების: ტირძნისი-თერგვისი-ბუჟღულაანთუბნის გზის რეაბილიტაცია ბ) ქ.გორში, ე.წ. „ჭალის" დასახლებაში,FIFA-ს სტანდარტების დაცვით, ხელოვნური საფარით მოწყობილი ორი სტადიონისა და საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა .

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობების და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გორის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტები თანდართული დანართი N1 (1 ფურცლად) შესაბამისად.

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, ს.ჯორბენაძის ქ. #30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

გორის მუნიციპალიტეტი

საპროექტო წინადადება

N	საპროექტო წინადადების დასახელება	შენიშვნა
1	2	3
1	ტირძნისი-თერგვისი-ბუჟღულაანთუბნის გზის რეაბილიტაცია	
2	ქ. გორში, ე.წ. „ჭალის" დასახლებაში, FIFA-ს სტანდარტების დაცვით, ხელოვნური საფარით მოწყობილი ორი სტადიონისა და საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა	

გორის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე თავზარაშვილი